



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	ქუთაისის „არესი“ - თბ „ლაშარი“		
გუნდი	თბ „ლაშარი“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ა“ ლიგა
მატჩის თარიღი	16/04/2022	მატჩის ადგილი	ქუთაისი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	თბ „ლაშარი“	დაზარალების თარიღი	
სახელი, გვარი			
მომჩივანი	სკს- საშეჯიბრო სამსახურის ჭაბუკთა „ა“ ლიგის მენეჯერი დიმიტრი ობოლაძე	საჩივარი	✓ მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #3. 2.სანქციები გუნდის მატჩზე არ გამოცხადების შემთხვევაში	წითელი ზარათი	საითინგი სხვა ✓
		თუ „სხვა“ აღწერეთ: სკს- საშეჯიბრო სამსახურის ჭაბუკთა „ა“ ლიგის მენეჯერის დიმიტრი ობოლაძის მომართვა 17/04/2022	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	19/04/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	კი არა	სხვა დამსწრეები :	კი არა
დამრღვევის წარმომადგენელი	თბ „ლაშარი“-ს მენეჯერი თემურ ბაიაშვილი (სატელეფონო გამოკითხვა)	აღნიშნუთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	სკს- საშეჯიბრო სამსახურის ჭაბუკთა „ა“ ლიგის მენეჯერის დიმიტრი ობოლაძის მომართვა 17/04/2022		



დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. სკს-საშეჯიბრო სამსახურის ჭაბუკთა „ა“ ლიგის მენეჯერის დიმიტრი ობოლაძის მომართვა 17/04/2022;
2. თბ „ლაშარი“-ს მენეჯერის თემურ ბაიაშვილის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

დამრღვევის/წარმოდგენილის განცხადება

თბ „ლაშარი“-ს მენეჯერმა, თემურ ბაიაშვილმა, სატელეფონო გამოკითხვისას დაასახელა მიზეზები რის გამოც გუნდმა ვერ შეძლო თამაშზე გამოცხადება, კერძოდ:

1. 4-5 მოთამაშის ტრავმა;
2. გუნდში არასაკმარისი მოთამაშეების რაოდენობა, მისი თქმით სათამაშო სეზონის განაცხადში შეყვანილი 38 მოთამაშედან უმეტესობამ დატოვა გუნდი და 15 მოთამაშის შეგროვებაც პრობლემატურია;
3. გუნდის გასვლითი მატჩებისთვის არასაკმარისი ფინანსური მდგომარეობა;

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 16/04/2022 ჭაბუკთა „ა“ ლიგის მატჩზე ქუთაისის „არესი“-სა და თბ „ლაშარს“ შორის, თბ „ლაშარი“ არ გამოცხადდა თამაშზე.
2. 17/04/2022 სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს მომართა სკს-საშეჯიბრო სამსახურის ჭაბუკთა „ა“ ლიგის მენეჯერმა დიმიტრი ობოლაძემ. მომართვაში აღნიშნულია, რომ 16/04/2022 ჭაბუკთა „ა“ ლიგის მატჩზე ქუთაისის „არესი“-სა და თბ „ლაშარი“-ს შორის, თბ „ლაშარი“ საპატიო მიზეზის გარეშე არ გამოცხადდა თამაშზე.


სადისციპლინო კომისიამ განიხილა სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მოუსმინა თბ „ლაშარი“-ს მენეჯერის თემურ ბაიაშვილის არგუმენტებს და მის მიერ თამაშზე არგამოცხადების მიზეზები მიიჩნია არასაპატიოდ.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #3-ს 2.2, 2.4 პუნქტებით, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 14.5 პუნქტით და მიიღო



გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „ლაშარს“ ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 1(ერთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
2. გუნდის მიერ საჯარიმო თანხის 7(შვიდი) კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში, თბ „ლაშარს“ ჭაბუკთა „ა“ ლიგაში დააკლდეს 5(ხუთი) საცხრილო ქულა.
3. ქუთაისის „არესს“ ჩაეთვალოს მოგება, მიენიჭოს მატჩში შესაძლო მოსაპოვებელი საცხრილო ქულების რაოდენობა და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	19/04/2022
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.